ნაციონალისტი

სამშაბათი ოქტომბრის 5 1920 წ. ნაციონალური და აზრარული პოლიტიკის ორგანო №. 5 ფასი 10 მან.

მისამართი:
რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სახალის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქტორის: ყუნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა:
წლის დამლევამდე — 750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი
მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. ხტრიქონიანი 1 გვერდზე — 15 მან. 3-4-გვერდზე — 10 მან. საშვლოდ ერთ განცხადება 30 სტრიქონი — 300 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე ვახტანგის ასული ვაჩნაძე შვილებით, რძლით და სიძეებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს რომ გარდაცვალების წლის თებერვ 7 ოქტომბერს ხოფელ ბაკურციხეში წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ვლადიმერ დავითის ძე ვაჩნაძის

სულის მოსახსენებლად.

ბლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ ბლეხებს ყოველგვარ საერთო—საზოგადო საჭიროებათა (ადგილ მაშულის, ურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) ირგვლივ დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა, ბიროთ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა ამასალა მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. № 5

პარლამენტარ დელეგატთა სურვილისამებრ პარტიის კონფერენცია გადაიდო და შესდგება 23 ოქტომბერს (ძველი სტილით 10 ღვინობისთვეს)

საქართველოს

ნაციონალური პარტიის

პირველი

კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. ხამაზრ. მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. საერთო და ხაპარლამენტო არჩევნების ხამზადისი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

კორესპოდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მუდმივად აწყობენ რედაქციას წერილებს პროვინციის (სოფლის და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი

კორესპოდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობებს, ფაქტების შესახებ.

გაზეთ „საქართველოს“ და „კოსმოსს“

მ. მიმართგების სამინისტროს პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას ყოველთვის ვაწარმოებდით, მაშინაც კი, როდესაც „საქართველო“ საზიზღულად ისენებდა.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „საქართველოს“ კამპანია მომარაგების სამინისტროს წინააღმდეგ ყოველთვის შეკავშირებული იყო ხოლმე რაიმე „კომბინაციასთან“. სამინისტროების ცვლილების დროს, ანტრაქტებში, რაიმე „ხელშეკრულების“ გატარება უფრო ადვილია ხოლმე.

ასე იყო ბ. ქარცივაძის დროს, როდესაც ბ-ნ ასათიანს შეკითხვა შექონდა „სიბუნიონის“ შესახებ დამფუძნებელ კრებაში იმისთვის, რომ „კოსმოსთან“ ხელშეკრულება გაეტარებინათ სამინისტროში და აკი კიდეც გაატარეს.

ამბობენ, რომ „კოსმოსის“ ოპერაციების გარშემო გამდიდრებულ და ტუჩებზე წითელ პომადა წასმულ რედაქტორებს გაზეთ „საქართველოსას“ კიდევ ერთი კარგი საკომისიო ხელშეკრულობა ჰქონდათ გასატარებელი მომარაგების სამინისტროში, მაგრამ ბ-ნ გ. ერაძეს უარს ვერაფერი ვერ მოუხერხეს.

ვერ მოუხერხებენ იმიტომ, რომ რაც უნდა არ ვაყვედროთ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, ერთს ვერ უარვყოფთ: მინისტრები ქრთამებს არ იღებენ.

და ამის კი ვერასოდეს ვერ ვიტყვით ეროვნულ-დემოკრატიულ სამინისტრო კანდიდატებზე, ვინაიდან მათ სპეკულიანტურ კოლეგიას, ომისა და რევოლუციის დროს რომ გამდიდრდა, ოფიციალურად ლიდერობს უდიდესი მექრთამე მთელს საქართველოში „თვითონ“ ნიკო ნიკოლაძე.

მაგრამ ეროვნულ-დემოკრატების უბედურება სწორედ იმაშია, რომ არასოციალისტური და ეროვნული ინტელიგენცია არ ამოიწურება „საქართველოს“ რედაქციით, რომელიც „ფრასკატის“ საროსკიპო ბინაშია დღეს მოთავსებული, და ყველგან როგორც პრესაში, ისე პარლამენტში. ეროვნულ-დემოკრატები მუდამ მზად უნდა იყონ, რომ მათ კულისების იქითა კომბინაციებს ფარდა აეხდება.

—

რაც შეეხება „კოსმოსის“ რწმუნებულის მასხარა—შვილის წერილს რედაქციის მიმართ, —მოკლედ მოვახსენებთ შემდეგს:

თუ „კოსმოსი“ ცილისწამებად სთვლის „ჟიუდგკ'ის“ წერილს, დავ მიმართოს მან იუსტიციას და იქ, სასამართლოს პროცესში, მასაც ვაგებინებთ, თუ რომელ გამოძიებელთან იყო შიწერ-მოწერა გ. ბერიძის შესახებ და მთელი საზოგადოებაც გაიგებს ბერიძის მილიონობის პირველ ყოფილ დაგროვების ფრიად საინტერესო ისტორიას.

დეპეშები

პეტლიურა და ბალშევიკები.

პარიზი. 20 სექ. „ტანი“ სწერს: უკრაინის დელეგაცია ოფიციალურად იუწყება, რომ საბჭოთა მთავრობამ უკრაინაში პეტლიურას მთავრობასთან საზავო მოლაპარაკება დაიწყოთ.

ოსმალეთში.

რომი. 29 სექ. იტალიის მთავრობამ კონსტანტინოპოლში თავის წარმომადგენლად დანიშნა მარკიზ გარონი. მაგრამ, კონსტანტინოპოლის მთავრობასთან ანტანტის ელჩების დანიშვნა არ შეიძლება სევერში ხელშეკრულების რატიფიკაციამდე.

ირლანდიაში.

ბერლინი. 25 სექ. „ნეი ცეიტის“ ცნობით ბელოასტაში რამდენიმე დღეა არეულობა გრძელდება და იგი თანდათან საშიშ სახეს ღებულობს. მოაგროვეს 20 მოკლული და რამდენიმე ასი დაჭრილი. არეულობას ანტიკათოლიკური ხასიათი აქვს: არეულობა ნავთსაშენებში დაიწყო.

ბალშევიკების ფული ინგლისში.

პარიზი. 22 სექ. „ტანი“ ბეჭდავს ლონდონის კორესპონდენტის დეპეშას, რომელიც იუწყება: „დეილი-გერალდმა“ მიმართა თავის მკითხველებს შეკითხვით უნდა მიიღოს თუ არა გაზეთმა ბოლშევიკების სუბსიდია—75000 გირ. სტერლინგის სახით. ინგლისის საზ-ბა აღნიშნავს, რომ კამენევმა და კრასინმა „დეილი-გერალდის“ დახმარებით მრავალი პირობა დასდვესო. ინგლისის ბაზარზე რუსეთიდან მოტანილი ძვირფასი ლითონით მრავალი პირობა დასდვესო.

იტალიელი კომუნისტები ლონდონში.

ლონდონი 25 სექ. ინგლისის მუშათა პარტიამ არ მიიღო თავის შემადგენლობაში ინგლ. კომუნისტ.

პარტია, რომელშიც ასამდე წევრი ითვლება. ეს წრე დიდი ხანი არ არის, რაც ლონდონში დაარსდა.

ავსტრია და გერმანია.

ვენა. გერმანიასთან შეერთების საკითხის გადასაწყვეტათ ავსტრიის ეროვნულმა კრებამ პლებისციტის მოწყობა დაადგინა. „ფორვერტსი" აცხადებს, რომ გერმანულ ავსტრიას არ შეუძლია იცხოვროს დამოუკიდებლად თუ მას არ ექნება ნახშირი და ზღვისაკენ გასავალი. „ფორვერტსი" დარწმუნებულია, რომ პლებისციტი შეერთებას მოითხოვს.

ფინეთთან საზავო მოლაპარაკება.

სახ. რუსეთსა და და ფინეთის შორის მთავარი საკითხები უკვე გადაწყვეტილია. მოლაპარაკება უმეტეს ნაწილად ეკონომიურ საკითხებს ეხება. რუსეთისა და ფინეთის დელეგატებს შორის დიდი დავა გამოიწვია საკითხმა რუსეთის იმ გემების შესახებ, რომლებიც ომის დროს ფინეთში დარჩა. ფინებმა განუცხადეს რუსებს, რომ 280 გემიდან მხოლოდ 20 გემს დააბრუნებენ. რუს. დელეგატებმა ამაზე უარი განაცხადეს. შემდეგ ფინებმა გადასწყვიტეს დათმობაზედ წავიდნენ. რუსეთის დელეგაციამ მოითხოვა საიმპერატორო სატყეო აგარაკიდან 50 წლის განმავლობაში ხე-ტყის გამოტანის უფლება. ფინეთმა პროტესტი განაცხადა. საკითხი ღიათ დარჩა.

კამენევის მოხსენებიდან

ჩვენმა დროებითმა დამარცხებამ ბურჟუაზიას ისევ ააწევია თავი. ანტანტა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ საბჭ. რუსეთი დაამარცხოს. იგი დიდ დახმარებას უწევს თეთრ პოლონეთსა და ვრანგელს. პოლონეთისათვის გადაცემულ ჩვენ საზავო პირობებს, როგორც სჩანს, არ მიიღებენ. ამ ვარად იმპერიალისტები თავზე გვახვევენ მძიმე საზამთრო კომპანიას. მუშათა და გლეხთა მთელი ძალა მტრის დამარცხების საქმეს უნდა მოხმარდეს. შავზღვაზე ბრბოების გამოჩენის ამბავმა სოჭის და ტუაპსის მუშებს შორის გამოიწვია დადგენილება საერთო მობილიზაციის შესახებ.

დუნაის კომისია

საერთაშორისო კომისია დუნაის შესახებ ოქტომბრის 1 შეიკრიბა. კომისიამ დაიწყო იმ მუხლების განხილვა, რომლებმაც დუნაის საერთაშორისო კომისიებს ეხება. ამ კომისიის მინდობილი აქვს ევალდურის დევნება მდინარის იმ ნაწილზე, რომელზედაც ნავოსნობა არის მოწყობილი.

ვრანგელი

თანახმად გ. ნ. ვრანგელის ცნობისა ალექსანდროვსკის რაიონში ბოლშევიკ ჯარის 200 ვერსის სიგრძეზე განადგურებულია არის. ამას თანავე გენ. ვრანგელმა დიდძალი სამხედრო მასალა იგდო ხელში და 10000 წამოიყვანა.

მიწის ძვრა

შაბათს ეგვიპტეში მიწა იძრა. მიწის ძვრა 40 წამს გაგრძელდა. მსხვერპლი არ ყოფილა.

რუსეთის ბოლშევიკების მდგომარეობა

თანახმად ჰელსინგფორსიდან მოსულ ცნობისა საბჭოთა რუსეთი მძიმე მდგომარეობის განიცდის: მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოები საიდუმლოებით არიან მოცულნი, ირკვევა, რომ მოსკოვის მცხოვრებლები მართავენ მიტინგებს, და ზავის ჩამოგდებას მოითხოვენ. როგორც სხვა ცნობებიდან ირკვევა, ლენინი და ჩიჩერინი მეტად შეშინებულნი არიან პოლონეთის და ვრანგელის უკანასკნელ გამარჯვებით, მით უფრო შეშინებულნი არიან ვრანგელის პოლიტიკით, რომელიც იმხრობს გლეხებს და მათ მიწებს ურიგებს. მეორეს მხრივ ბრუსილოვმა მოწოდება გამოუშვა, სადაც იგი მოუწოდებს ყოფილ ოფიცრობას იმსახურონ წითელ არმიაში და დაიცვან სამშობლო უცხოელებისაგან.

ჩინეთი და რუსეთი.

საფრანგეთის პრესა იუწყება: ჩინეთის მთავრობას განზრახვა აქვს აიღოს თავის ხელში რუსების კონცესიების მმართველობა. ასეთი გადაწყვეტილება არა მარტო რუსეთის ქვეშევრდომების წინააღმდეგ არის მიმართული, არამედ იგი მიმართულია სხვა ერების წარმომადგენლების წინააღმდეგაც, რომლებიც ასე თუ ისე დაინტერესებულნი არიან რუსების კონცესიებით.

ბოლშევიკების სამხედრო ცნობა

მოსკოვი 4 ოქტ. ნოვგოროდისა და ნესვიჟის რაიონში მდ. ნემანსტრიას აღმოსავლეთით ბრძოლაა. პინსკის რაიონში ლუნინეცის დასავლეთით და სამხრეთით ბრძოლაა, კოროსტენ ვოლინსკის რკ. გზ. გასწვრივ ჩვენი ჯარი შეტევას აწარმოებს. ნოვოკონსტანტინოვკაზე მტრის შეტევა მოვიგერიეთ. ლერიაქნის სამხრ. ბრძოლა ცვალებადია. იუზოვკის რაიონში მკაცრი ცვალებადი ბრძოლა სწარმოებს.

შავ ზღვაზე

30 ენკენ. ბათუმში მიიღეს ცნობა ქემალისტების მნიშვნელოვან რაზმის ჩამოსვლაზე ტრაპიზონის მეციხოვნეთა გასაძლიერებლად.

ბათუმის პორტიდან ტრაპიზონში გაემართა საუკეთესო ინგლისური ნაღმოსანი შავი ზღვის ესკადრისა.

ბათუმის პორტში დიდ ყურადღებას იქცევენ უცხოელ შეიარაღებულ გემებისა და ხომალდების სიმრავლე, რაც ინგლისის ოკუპაციის მერე არა ყოფილა.

ინგლისურ გემებში არის—უზარმაზარი კრეისერი, რომელიც ჰაეროპლანების ბაზისად ითვლება.

უცხოურ წრეებში იუწყებიან, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე უცხო ძალების დაგროვება გამოწვეულია გენ. ვრანგელის ახალ სტრატეგიულ ოპერაციებით.

კონსტანტინეპოლის საზღვაო ბაზიდან სწორე ცნობები არ მიუღიათ.

სამი დღეა ყირიმიდან ბათუმში რადიო ცნობა არ მიღიათ. (კ. ს.)

ოსმალთა შეტევა სომხეთზე.

თანახმად სომხურ დიპლომატიური მისსიის ცნობებისა, თურქები სამ ფრთაზე უტევენ: ოლთისზე, ბარბუხზე, სარიყამიშის ზურგით (1914 წ. სტრატეგიული გეგმა) და ყარაკურტზე. ტელეგრაფის დაზიანების გამო ბრძოლების დაწვრილებითი ცნობები ჯერ არ მიუღიათ.

სომხეთის საგარეო მინისტრმა ოჰანჯანიანმა საბჭოთა საგარეო კომისარ ჩიჩერინს პროტესტის ნოტა გაუგზავნა რომელშიც ხაზს უსვამს რომ ოსმალთა შემოტევა მაშინ დაიწყო, როცა საბჭოთა რუსეთსა და სომხეთს შორის საზავო მოლაპარაკებანი იმართებაო. (კ. ს.)

ქრონიკა.

პენსიების გამო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალაქთა და ერობათა თვითმართველობათ დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარი: როგორც კერძო პირთაგან, ისე ერობათა და ქალაქთა თვითმმართველობისაგან ხშირად შემოდის სამინისტროში თხოვნები და მომართვები შუამდგომლობით პენსიის დანიშვნის, ან ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ. ვინაიდან შრომის სამინისტროსთან სოციალურ დახმარების დაარსების შემდეგ ასეთი თხოვნების გარჩევა სამინისტროს კომპეტენციას აღარ შეადგენს, კანცელარია აცნობებს სახელმძღვანელოდ და საყოველთაოდ გამოსაცხადებლად, რომ ზემოაღნიშნული თხოვნები, თანახმად არსებულ კანონისა, უნდა შეტანილ იქნას ქალაქის ან სამაზრო ერობის გამგეობაში, რომელიც ამგვარ თხოვნებს არჩევს.

ბათუმის სასამართლო

ოზურგეთის ერობა დაეთანხმა იუსტიციის სამინისტროს, რომ საოლქო სასამართლოს ბათუმის განყოფილება ოზურგეთის რაიონის გაუყოფილებაში შედიოდეს. სათანადო კანონ-პროექტს იმუშავებს იუსტიციის სამინისტრო.

ყაჩაღებთან ბრძოლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ავჭალიდან დეპეშით ატყობინებენ: ოქტომბრის 2 ყაჩაღებთან სროლის დროს მოვკალით ერთი ყაჩაღი და დანარჩენებს დავსდევთ. თიანეთიდანაც იუწყება ერობის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი, რომ თიანეთის სამაზრო მილიციამ არაგვის ხეობაში დააპატიმრა ყაჩაღთა ბანდა კაციაშვილის მეთაურობით, რომელიც ამასწინად დუშეთის ციხიდან გაიქცა.

ბორჩალოს ერობა

ბორჩალოს მაზრის ერობამ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს სესხი კულტურულ მეცნარეულობის მოსაშენებლად თესლეულობის შეძენის საჭიროებისათვის. ვინაიდან სახელმწიფო კონტროლი და სამინისტროები ამ შუამდგომლობას თანაგრძნობით შეხვდენ, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერობის შუამდგომლობა მთავრობას წარუდგინა განსახილველად.

უკანასკნელი ცნობები

ჩვენმა რედაქციამ არტაანიდან შემდეგი ცნობა მიიღო: ოსმალებს [illegible]ათ სარაყამიში და უკვე ყარსს მიახლოვებიან.

მთელს სომხეთში გამოცხადებულია სამხედრო წესები და მობილიზაცია 35 წლამდის.

თბილისსა და სომხეთს შუა ტელეგრაფი გაფუჭებულია.

ოსმალების მხრივ ოთხი სრული დივიზია მოქმედობს.

აზერბეიჯანის გენერლები მეხმანდაროვი და შიხლინსკი მოსკოვში მიუწვევიათ „რევვოენკომიტეტში".

აფხაზეთის საბჭოში ოპოზიციას შეკითხვა შეუტანია სოხუმის საგანგებო სასამართლოს მოქმედების შესახებ, რომელსაც 20 მეტი სასიკვდილო განაჩენი გამოუტანია.

მარგანეცის ვალიუტა

ფინანსთა სამინისტრომ აცნობა საზოგადოება „ჩემო"-ს, რომ სავალიუტო ოპერაციების შესახებ სავალდებულო დადგენილება საზოგადოება „ჩემოს" არ ეხება.

დებრიუკერი.

ევროპის სოციალისტურ დელეგაციის წევრმა დებრიუკერმა სექტემბრის 20 „ჩემოს" საზოგადოების გამგეობა ინახულა.

„ჩემო"

საზოგადოება უცხოეთში გზავნის „ჩემოს" საბჭოს წევრს როდოვიჩს რ. ჯავახიშვილის მაგიერ, რომელმაც ავადმყოფობის გამო უცხოეთში წასვლაზე უარი განაცხადა.

შავი ქვის ექსპორტი.

სექტემბერში საქართველოდან ინგლისსა, იტალიასა და პოლონეთში გაიტანეს 29.000 ტონა შავი ქვა.

სავალიუტო საკითხი.

შავი ქვის მრეწველთა საკონცერო საზოგადოების თავმჯდომარე ს. წერეთელმა ვალიუტის საკითხის მოწესრიგების შესახებ მთავრობის თავმჯდომარეს მოხსენება გაუკეთა.

ოზურგეთი.

ერობამ აუწყა ერობათა კავშირის კომიტეტს, რომ ის შეუთანხმდა სენაკის ერობას საზღვარზე მდებარე სადაო მამულების გაცვლის შესახებ. მიწად მოქმედების სამინისტრომ შეთანხმების ყველა პუნქტი დაამტკიცა.

ოზურგეთის სამაზრო ერობამ მიიღო ზომები ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში თავის ნებით ტყის გაჩეხვის აღსაკვეთად.

არა პირდაპირი გადასახადი

ფინანსთა სამინისტრომ წინადადება მისცა ვაჭრობა მრეწველობის პალატას წარმოადგინოს ცნობები იმ საქონელთა ბაზრის ფასების შესახებ, რომლებზედაც არა პირდაპირი გადასახადი არის დაწესებული. განზრახულია ამ საქონელზე დაწესებული აქციზის გადასინჯვა.

ღვინის კანონის გაფართოება.

ფინანსთა სამინისტროსთან დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც მიანდეს განიხილოს საკითხი ღვინის

კანონის რესპუბლიკის ყველა ქალაქზე გავრცელების შესახებ.

იუსტიციის სამინისტროში

დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას თბილისის სამოსამართლო პალატის პროკურორი მ. ტატიშვილი. ამასთანავე თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ა. ყანჩელი გაანთავისუფლეს პროკურორის მოვალეობის ასრულებიდან.

სოხუმის საოლქო სასამართლოს

ლიკვიდაციის გამო აღნიშნული სასამართლოს პროკურორის ამხანაგი მ. მელიანიცკი მოვალეობის ასრულებიდან გაანთავისუფლეს.

ვალიუტის კურსი

სახელმწიფო ბანკის გამგეობა აცხადებს: ვალიუტის მომწესრიგებელ კომიტეტმა დაადგინა ვალიუტაზე განსაზღვრული კურსი არ იქნება დაწესებული. კერძო საკრედიტო დაწესებულებებს, რომელთაც მიეცათ ნება ვალიუტის ოპერაციების წარმოებისა, შეუძლიათ აწარმოონ ეს ოპერაციები, როგორც თავის ანგარიშზე, ისე საკომისიო მინდობილობათა ანგარიშზე. სახელმწიფო ბანკი ვალიუტის ოპერაციებს მხოლოდ საკომისიო მინდობილობით აწარმოებს.

პურის შემოტანა

თანახმად სასურსათო განყოფილების პურის ბიუროს ცნობებისა სექტემბრის 22-დან 30-დე თბილისში შემოუტანიათ 28.237 ნახ. ფუთი პური. მიმდინარე კვირაში პურის კონტროლის ცნობით პურზე შემდეგი ფასები არსებობდა: თეთრი ქერი ფუთი 1200 მან. შავი ქერი ფუთი 1100 მან. ქერის ფქვილი ფუთი 1800 მანეთიდან: პური 2000—2600 მან. პურის ფქვილი ფუთი 2350—2900 მან. სიმინდი ფუთი 1200 მან. და სიმინდის ფქვილი 1500 მან.

სამხატვრო ქრონიკა

ქართული დრამა. ქართული დრამის სეზონი გაიხსნება ღვინობისთვის 5-ს შ. დადიანის პიესით: „გუშინდელნი“. სეზონის რეპერტუარი უკვე შემუშავებულია. მოკლე ხანში დაიდგმება სანდრო შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“, მერე—„ოტელო“ და „ანტიგონე“. რეჟისორებად მიიწვიეს: ლადო მესხიშვილი, მიხ. ქორელი, აკ. ფალავა და ალ. წუწუნავა. დასში არიან: ნინო ჩხეიძე, ელ ჩერქეზიშვილი, ლადო მესხიშვილი ვასო აბაშიძე, ა. იმედაშვილი და სხვ.

სახელმწიფო დრამატიული თეატრი. გაიხსნება ღვინობისთვის შუა რიცხვებში. ქართული წარმოდგენები იქნება კვირაში ოთხჯერ.

იტალიელი მომღერლების მოწვევა იტალიიდან სახელმწიფო თეატრის გამგეობამ კიდევ გადასწყვიტა.

მსახიობი ჟიხარევის სოლოლაკში კამერულ თეატრს ჰხსნის.

ოპერა „ლეილა“ დასწერა კომპოზიტორმა ვ. დოლიძემ. ოპერა მიმდინარე სეზონში დაიდგმება.

პურის საქმის რევიზია

(მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება)

განვიხილე რა ორი მოხსენება შესახებ პურის დამზადებისა თბილისში ერთი მოხსენება ჩემ მიერ დანიშნულ რევიზორის გ. ხუნდაძისა, ხოლო მეორე შრომის სამინისტროს და პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიისა, დამტკიცებულათ ვსთვლი შემდეგს.

თბილისში პურის რიგიანად დამზადების და გამოცხობის საქმეს არ ჰყოლია არც ერთი გულშემატკივარი და მზრუნავი მომუშავე. ყველას, ვისაც კი პურის დამზადებასთან ჰქონდა საქმე, დაწყებული ხორბლის გლეხით და გათავებული მეფურნით, სცდილობდა პურის გაფუჭებას და ამ გვარათ სარგებლის მიღებას.

მომარაგების სამინისტროს რწმუნებულთა მერ ნაყიდ ხორბალში ნამდვილი პური არის 40—45%-ი დანარჩენია ქვიშა, ქვა, ბალახი, ჩალა, მათრობელა, ბრუალა და სხვა უვარგისი მასალა. ასეთი ხორბალი მიდის წისქვილში, სადაც მეწისქვილე ვალდებულია გაანიავოს და მერე დაფქვას. ნამდვილათ კი მეწისქვილეთა დიდი უმრავლესობა არა თუ არ სწმენდს ხორბალს, პირიქით თვითონ უმატებს ყოველნაირ ნაგავს, რაც კი ხელში მოედება ოღონდ დაფქვილი გაამრავლოს და პურის ფქვილად გაასაღოს. ხშირად ფურნეში ჰგზავნიან ისეთ რაღაც ფხვნილს, რაშიაც პური სრულიად არ მოიძებნება. ბოლოს მეფურნე აცხობს ისეთი ფორმის და ზომის პურს, რომ მისი რიგიანად გამოცხობა შეუძლებელია და ამით პურს ამძიმებს.

მივიღე რა მხედველობაში ეს შემაძრწუნებელი დაუდევრობა და ბოროტ-მოქმედება დავადგინე:

1) გადაყენებულ იქნან და სამართალში მიცემული მომარაგების სამინისტროს რწმუნებულნი, რომელნიც ყიდულობდენ უვარგის ხორბალს, ხოლო ასეთი ხორბლის გამყიდველნი დასჯილ იქნან ადმინისტრატიულ წესით დაპატიმრებით, რისთვისაც მომარაგების სამინისტრომ გასცეს სავალდებულო დადგენილება.

2) გამოეცხადოს საყვედური თბილისის ქალაქის გამგეობას, რომლის ხელშია პურის დაფქვის და გამოცხობის საქმე, ასეთი უმაგალითო დაუდევრობისათვის.

3) დათხოვნილ იქმნეს სამსახურიდან სასურსათო განყოფილების გამგე რუხაძე, რომლის პირდაპირ დანიშნულება იყო პურის საქმისათვის ყურის გდება.

4) დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან შრომის სამინისტროს და ქალაქის მიერ დანიშნული კონტროლიორები რომელნიც ხედავდენ ყოველივე სისაძაგლეს და ხმას არ იღებდენ.

5) დაპატიმრებულ იქნან სამ-სამი თვით ციხეში მეწისქვილენი იაკუბოვი, დადარიანი, ალახანოვი და მისი მუშა ხაჩატურ ეგოიანი, ქალაქის კონტროლიორი სანოვიჩი, სატეხნიკო განყოფილების გამგე ბურიოვი, ხოლო დანარჩენი წევრები ამ განყოფილებისა დათხოვნილ იქნან სამსახურიდან და სამი თვით დაპატიმრებული კახეთის რკინის გზის აგენტი კუკულაძე, რომელიც მეწისქვილე ალიხანოვთან ერთად იღებდა მონაწილეობას პურის გაფუჭებაში.

პურის საქმის გამოსაკეთებლად და ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია მიღებულ იქნას ცისგანაც ჯერ არს შემდეგი ზომები:

1) ხორბლის გაწმენდა ხდებოდეს ერთ ადგილზე, საიდანაც გაწმენდილი იძლეოდეს წისქვილებს.

2) იმ წისქვილთა საწყობებში, სადაც იფქვევა მომარაგების სამინისტროს ხორბალი კერძო პირთა ხორბლის შენახვა აიკრძალოს. საწყობი იკეტებოდეს ორი ბოქლომით. ერთი გასაღები ებაროს წისქვილის პატრონს ან მის რწმუნებულს მეორე—სასურსათო განყოფილების აგენტს, რომელიც თვალყურს ადევნებს ხორბლის მიღებას, დაფქვას და ჩაბარებას-

3) ხორბლის გაცემა და ფქვილის მიღება წისქვილიდან საწყობში ხდებოდეს აგენტის თანდასწრებით.

4) ყველა წისქვილში აგენტმა აწარმოოს შემოსავალ-გასავლის წიგნი, რომელშიაც აღინიშნოს რაოდენობა ხორბლისა, ფქვილისა, ქატოსი და სხვა.

5) აგენტის მორიგება ხდებოდეს 3 ჯერად განუწყვეტლივ დღე და ღამეში.

6) მორიგე აგენტს დაევალოს აგრეთვე საფქავის სისუფთავეზე თვალყურის დევნა და მორიგეობის დროს წისქვილში და საწყობში განუწყვეტლივ ყოფნა.

7) ქატო არ ინახებოდეს წისქვილის საწყობებში ერთ კვირაზე მეტი, გარდა იმ ქატოსი, რომელიც მეორედ უნდა დაიფქვას.

8) აგენტები, რომლებიც სამ ჯერად მორიგეობენ არ უნდა მორიგეობდენ ერთსა და იმავე წისქვილში ერთ კვირაზე მეტი. ამ ვადის შემდეგ ისინი გადადიან სამორიგეოდ მეორე წისქვილში.

ჩემ მიერ დანიშნულ რევიზორს გ. ხუნდაძეს ვავალებ განაგრძოს თვალყურის დევნა პურის დამზადებაზე.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია**

მთავრობის საქმეთა მმართველი **კ. ჯაფარიძე.**

პატარა ფელეტონი

სამინისტროს კრიზისები

(პოლერვიესხბური)

სამინისტროს კრიზისები თავს იჩენს ხოლმე წელიწადის ყოველ ახალი დროს ცვლისას, როგორც რევმატიული კრიზისი. წინედ ამ კრიზისებს უნდიბოდა ოცდაოთხი საათი, ეხლა კი ორი სამი კვირაა საჭირო.

სულ წინედ კი უფრო სხვანაირად იყო: კრიზისით იტანჯებოდნენ პარლამენტის ის წევრები, რომელნიც იჩენდნენ სამინისტროს ნიჭს. ეხლა კი, კრიზისით იტანჯება ყველა ქართველი მენშევიკი.

წინედ სამინისტროს კრიზისები პარლამენტის წევრებს ფერს უკარგავდა, აგახმდრებდა, ეხლა კი წითელ ფერს ჰმატებს უფრო...

ძველად კრიზისის დროს პარლამენტის წევრები ჩვეულებისამებრ არ გამოდიოდნენ კარში, ეკარგებოდათ მადა, ეშლებოდათ კუჭი, ეხლა კი განგებ დადიან: „ქიმერიონში“ „შამპანში“ ისინი არ ჰმალავენ არც თავის აღელვებას, არც თავის იმედებს. ისინი გთხოვენ რჩევას როგორზედაც არ გაივლიან არასოდეს. იმათ უნდათ, რომ მალე გათავდეს კრიზისი, მალე გაიგრიალონ ავტომობილით.

ისინი ფიცულობენ, რომ პორტფელის მიღების მერე მკაცრად იცხოვრებენ: ადგებიან ადრე, დაიძინებენ გვიან; გაეყრებიან ძველ საყვარელს და თავის ზნესაც გამოიცვლიან. ამას ეუბნებიან თავის მეგობრებს, ნაცნობებს და მოსამსახურესაც კი...

მათ უყვართ, როცა ხიმედებენ თუმცა თითონაც იგონებენ, რომ წინათ მათ უფრო დიდი კრიზისები გამოუვლიათ, ვიდრე „სამინისტროს კრიზისია“

იგონებენ ძველ ამბებს, ძველ „ორენბურგებს“ და სხ.

ისინი პირველები ყიდულობენ საღამოთ გამოსულ გაზეთებს და იხე პირებენ ქრონიკას, მეთაურს, მეოთხე გვერდს ხომ არაფერია მათზე ან რაიმე შენიშვნა ხომ არ არი სამინისტრო კრიზისზე.

გაზეთის ყიდვის მერე მათ წაიღებს ახალი ოცნება და ბურანი, თუ რას შესძლებენ პორტფელის მიღების მერე, რომ გადიხდიან ძველ ვალებს, ნათესავებს ადგილებს უშოვნიან, თავიანთ კუთხეში გაიყვანენ რკინის გზას და სხ.

ჰხედავს თავის მომავალს და უცბად ისეთ ჟესტს აკეთებს თითქოს არიგებს საჩუქრებს.

შემდეგ აგონდება ის აუარებელი:

ბანკეტები.

რაუტები.

სადილები.

ვახშმები,—რომელიც მას მოელის და ბურანში წასული უკვე მზად არის ჰიქა აილოს და სიტყვა უთხრას საქართველოში ჩამოსულ რომელიმე იაპონიის თუ ბუხარის წარმომადგენელს ან ავსტრალიიდან მოსულ სოციალისტს.

ოცნებას არც სახლში დაბრუნებისას ათავებენ. ისინი სახლში უფრო ნაზდებიან, ხდებიან საიინოები და ლმობიერები, თითქოს ნათელი ადგათ თავზე და მზად არიან ყველას გადაეხვიონ მტადრე თუ კარგ სიზმრებს ჰნახავენ ადგ ომისას.

და ასე იტანჯება ჰულქიანივით, მთვარეულივით ეს საწყალი ხალხი, მერე დაფასდება ეს უწყალო ლოდინი და მღელვარება?

როგორ არა, თუ ეხლა არა, ორი სამი თვის შემდეგ ხომ ისინიც მოგ სწრობიან ჩამორიგებულ პორტფელს როცა კრიზისი ისევ დაუბრუნდებათ როგორც შეჩვეულ სახადიანებს.?

თემურლენგი

ეროვნული ბიბლიოთეკა


მილიციონერი

გვარდიელი.

ოფიცერი.

ჯარის-კაცი.

„მხედარიდან"

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპონდენცია ბორჩალოს მაზრიდან.

ს. კლდეისი.

კლდეისი მდებარეობს წალკაში, სადაც საბარათაშვილო თავდები (ბორჩალოს მაზრაში) აქ მარილაც რომ კლდეების ადგილია. ძველიდგან ხხვადასხვა კუთხიდან შეკრეფილა რვა გვარის ქართველი: თამაზაშვილები (აბაშიძეები 4 კომლია) ოქროპირიძეები შვიდი კომლი, მიქელიძეები 5, ჭელიძეები 2, ხიზიაჯაშვილები 3, ასპანიძეები 3, მარულასაშვილები 2, გიგიჩაშვილები 3, სულ შეადგენს 29 კომლს 200 სულამდის. იშვიათია, რომ აქაურებს მოსავალი არ დაესეტყვოთ ხოლმე და წელსაც დაისეტყვნენ.

მაისის ნახევარში კლდეისის მოჯნაზედ დალეთხეჩელების ნაიჯარადებელ ადგილში, საქართველოს გვარდიის ერთმა ნაწილმა ჯარმა გამოგზავნა უებარი დიდი და პატარა რქიანი საქონელი და ცხენის ჯოგი და სულ მთლათ გაანადგურეს ეს მშვენიერი მოსავალი პურის, ქერის, კარტოფილისა და თივისა სულ დედამიწას გაასწორებინეს, ამ საქონელს ეს ვიდებული მოსავალი. როგორც ჩანს ხალხის დასამტკიცებელ საბუთებით, გვარდიამ მორეკა კლდეისში ერთი ფარა ცხვარი ათასი სული, ორი ფარა თხა ორი ათასი სული, სამი ნახირი ძროხა სამუშავო საწველი და მშრალი, დიდი და პატარა 3.000 სულამდინ ერთი ნახირი კამეჩი 500 სული, და ცხენის ჯოგი ოთხასი სული.

ეს საქონელი თუმცა დააყენეს დალეთხეჩელების ადგილას, და თავათ დალეთხაჩელებს კი დარჩნენ მარტოთ თავიანთ ცოტაოდენ „ნადელებში", მაგრამ მოკიდებული მაისის ნახევრიდან, ამ უმრავლეს საქონელს ცხენს და ცხვარს იმოდენი აძოვნინეს და ატარეს შიგ ჭინახულებში, რომ ამ უბედური მთელი სოფლის მოსავალი სულ მთლათ შეაჭმევინეს და ფეხით გაათელინეს.

მოწვეულმა კანონიერ კომისიამ ადგილობრივ გასინჯა და კანონიერი ოქმით დაადასტურა, რო სწორეთ ამ საქონელს სოფელ კლდეისის პური წაუხდენია ხუთასი ფუთი ერთი მილიონის ნაფასი, ქერი ოთხასი ფუთი, ღირებული 600,000 მანეთი, კარტოფილი ორასი ფუთი ღირებული 100,000 მანეთი და თივა ხუთასი ურემი—ღირებული 500,000 სულ 2 მილიონისა და 2,200,000 მანეთისა ეს საქონელი დარჩა კლდეისის ადგილებში ნახევარ მაისიდან ოც სექტემბრამდინ და ძალიან გასუქდა, მაგრამ რამოდენადაც ესენი გასუქდნენ საუბედუროდ იმდენად დედამიწასთან გასწორდა 29 კომლი. სამართალი მოითხოვს, რომ ეს ხალხი ყველაზე ადრე იყვნენ დაკმაყოფილებულნი როგორც სათესლე პურით ისე გამოსაკვებავით ახალ მოსავლამდის ამაზე უნდა სახელმწიფომ, მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქციოს, რომელსაც საბუთებით დარწმუნდება. ეს საბუთები შედგება მთელი ხალხის ჩვენებით და მიწათ გამყოფი კომისიის დადასტურებით. ქ. ხვიმონიშვილი.

მარტვილის ერობა

ჩვენი კუთხის პოლიტიკური ვითარებით დაინტერესებულთათვის ცხადია, რომ არსებული ერობანი, როგორც სამაზრო აგრეთვე სასოფლო სრულიად ვერ ასრულებენ პირდაპირ დანიშნულებას. ამის მთავარი მიზეზი შემდეგია: პირველი ის, რომ ერობის როგორც ხმოსნები, ისე გამგეობის წევრები სრულიად მოუმზადებელია ამ საქმისათვის; მეორე ის, რომ საერობო არჩევნების დროს ჩვენებურმა მენშევიკებმა საშინელი ღონისძიებანი მიიღეს, რათა ერობებში მხოლოდ პარტიული ბიჭები შესულიყო. და მიზანსაც მიაღწიეს... მაგრამ ნაყოფი ცუდი გამოვიდა... ერობებში მხმოსნეების 80 პროც. სრულიად მოუმზადებელი ხალხი მოხვდა. გარედ კი დარჩა ბევრი ისეთი მომზადებული პირები—არა მენშევიკებს რომელთაც კარგად შეეძლოთ მუშაობა საერობო საქმეში.

მარტვილის ერობა ტიპია სენაკის მაზრის ერობებისა. ჩაიხედეთ მარტვილის ერობაში, გაეცანით მის „მოღვაწეობას" და რასაც იქ აღმოაჩენთ, ეს იქნება სხვა დანარჩენი წვრილი ერთეულების დამახასიათებელი თვისებანი, მაგრამ ერთი განსხვავებით: არა მგონია სხვა წვრილ ერთეულების ხმოსანთა ყრილობას ყავდეს ისეთი „დახელოვნებული" თავმჯდომარე, როგორც მარტვილის ხმოსანთა ყრილობის თავმჯდომარე სილ. ფაცია.

თუ გინდათ დავკარგოთ სულის სიმშვიდე, უნდა დაესწროთ ხმოსანთა ყრილობას ბ. ფაციას თავმჯდომარეობით. თვალწინ გადაგვეშლება მთელი საშინელება. აურ-ზაური, ყვირილი, ხანდისხან კი ხელჩართული ომიც... შუადღიდან საღამომდის არის ლაყბობა, კინკლაობა, უთანხმოება, კერძო ინტერესები—აი რა ახასიათებს მარტვილის ხმოსანთა ყრილობას. რასაკვირველია ამის მიზეზი უმთავრესად თვით თავმჯდომარე ფაცია გახლავთ, ვინაიდან თუ თავმჯდომარე არ არის განვითარებული, საქმისა და დანიშნულების მცოდნე, ის ვერასოდეს ვერ მიიპყრობს ხმოსნების ყურადღებას, ვერ დაამყარებს წესიერებას, ვერ უხელმძღვანელებს კრებას და შეხაფერ რეზოლიუციასაც ვერ გამოატანს. ამაზე მეტიც ითქმის ბ. ფაციაზე... მიკვირს! ნუ თუ ფაცია თავის სისუსტის თვითონ არ გრძნობს და თუ გრძნობს, რატომ არ ანებებს თავს მისთვის მიუწდომელ თანამდებობას?

ა. ფ.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი
სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელიქ., 3

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბალანსი 1920 წ. 1 ოქტომბერს

აკტივი (ათასობით)

კასა	487.695
სახელდახელო ანგარიშა ბანკისა ხაზინაში	27.495
ოქრო, ვერცხლი, უცხოეთის ვალიუტა, ჩეკები და ტრატები	23.747
განაღდება თამასუქების, სავაჭრო ვალდებულებათა და ვადიან ქაღალდებისა	57.647
სპეციალი სახელდ. ანგარ. უზრ.-ყოფილი თამასუქებითო და სავაჭრო ვალდებულ	8.449
სესხი და სპეციალ სახელდახ ანგარ საქონლით და საქონლის მიერის საბუთებით	72.079
ანგარიში მთავრობასთან და ხაზინებთან	73.937
„ უძრავის ქონების და მოწყობა მოზართვისა	246
დასაბრუნებელი თანხები, თამასუქების ქაღალდი და ღერბის მარკები	1.358
მიმდინარე ხარჯები	2.559
ბალანსი	755.012

პასივი (ათასობით)

ძირითადი თანხა	150.000
სპეციალი „	50.000
ანაბარი ვადიანი, უვადო და სახელდახელო ანგარიშები	548.512
გადუხდელი გადმოგზავნილი ფული და გარდამავალი თანხები	1858
სარგებელი მიღებული ოპერაციებისაგან	4.623
საპენსიო თანხა	19
ბალანსი	755.012
საკომისიო თამასუქები და საბუთები	652
საქტივო ოპერაციების უზრუნველყოფ. საბუთები	8.421
ანაბარი შესანახად	115.186
გარდამავალი საფასენი	23987

მატარებლების მიმოსვლა

თბილისიდან მიდის

ბორჯომისკენ	№ 17	7. 52
ბორჯომში ჩადის		2. 09
ფოთისკენ	№ 3	9. 56
ფოთში ჩადის		10. 20
ბორჯომისკენ	№ 19	2. 30
ბორჯომში ჩადის		8. 00
ბათუმისკენ	№ 17	8. 00
ბათუმში ჩადის		9. 00
ბათუმისკენ ჩქარი	№ 5	11. 44
ბათუმში ჩადის		11. 27
თელავისკენ		8. 30
ქუთაისისკენ	№ 9	9. 50
ქუთაისში ჩადის		6. 00
[illegible]		1. 40
[illegible]		10. 10

თბილისში მოდის

ბორჯომიდან	№ 20	12. 30
თბილისში მოდის		6. 30
ქუთაისიდან	№ 12	11. 47
თბილისში მოდის		9. 30
ბათუმიდან ჩქარი	№ 6	11. 00
თბილისში მოდის		12. 10
ბათუმიდან	№ 8	3. 55
თბილისში მოდის		7. 44
ფოთიდან	№ 4	8. 27
თბილისში მოდის		7. 45
თელავიდან		7. 00
[illegible]		11. 30
[illegible]		4. 22